საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1620 2016 წლის 4 აგვისტო ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №561 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „ენერგო-პრო ჯორჯიასათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 31 მარტის №561 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) სს „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ უზრუნველყოს, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცხრილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამავე განკარგულების დანართის მე-7 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ ქონებაზე გამოუყენებელი

სასარგებლო წიაღისეულის საკომპენსაციო თანხის გადახდა შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.";

ბ) დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი:

N	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი
1	ქობულეთი, კაიკაციშვილის ქუჩის მიმდებარედ 15 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.11.473
2	ქობულეთი, ფიჭვნარში მდებარე 34 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.05.338
3	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 34 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.470
4	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 34 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.471
5	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 36 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.472
6	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 36 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.473
7	ქობულეთი, თავისუფლების ქუჩის მიმდებარედ 94 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.07.474
8	ქობულეთი, ფიჭვნარში მდებარე 34 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.05.348
9	ქობულეთი, ფიჭვნარში მდებარე 72 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	20.42.05.349